15/12/2025

MES 7 25 0001787949

**ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 01.12.2025 წ;
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 18:00 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

**1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

**ეკატერინე ლეჟავა** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
**თამარ ჩიკვილაძე** - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
**ნინო ლაბარტყავა** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**ნინო გიუაშვილი** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა" გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
**რონა პერტია** - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
**მარინე ბაიდაური** - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

**მაკა მაისურაძე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
**ნანა ათუაშვილი** - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი;
**ნათელა ლურსმანაშვილი** - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**
**მარი მიქაუტიძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
**თეა ცერცვაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ნინო დვალიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**სოფიკო მიქაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ცირა თარალაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**თამარ ქევხიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**გოგა პარუნაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:**
**1) შპს მონტესორი უნივერსი:**
ნინო კიკნაძე - დამფუძნებელი;
ანა ახალკაცი - დირექტორი.
**2) ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი:**
მაია თორთლაძე - ცენტრის დირექტორი
**ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის თერჯოლის N3 საბავშვო ბაგა-ბაღი:**
ქარქაშაძე ლამარა - ბაგა-ბაღის დირექტორი;
**ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის** სოფელი ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღი:
მაია ჭანკვეტაძე - ბაგა-ბაღის დირექტორი;
**ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღი:**
მაყვალა მაჩიტიძე - ბაგა-ბაღის დირექტორი.
**3) ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება:**
ნინო მეზვრიშვილი - გაერთიანების ხელმძღვანელი;
**ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების ქარელის N3 საბავშვო ბაღი:**
ნათია მაისურაძე - ბაღის დირექტორი;

**ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების დირბის საბავშვო ბაღი:**
ლიანა სამხარაძე - ბაღის დირექტორი;
**ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების ახალსოფლის საბავშვო ბაღი:**
ნანი ქიტიაშვილი - ბაღის დირექტორი.
**4) ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება:**
აიშე თებიძე - გაერთიანების ხელმძღვნელი;
**ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დანდალოს ბაგა-ბაღი:**
თამარ ზერიძე - ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი;
**ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ქედის N1 ბაგა-ბაღი:**
მაია ხაბაზი - ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი.
**5) ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი:**
მარინა ბურჯალიანი - ცენტრის დირექტორი;
**ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის ქ. ცაგერის N1 საბავშვო ბაღი:**
ციალა გუგავა - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
**ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრის სოფელ წიფერჩის საბავშვო ბაღი:**
ქეთო კოპალიანი - საბავშვო ბაღის მენეჯერი.

**4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**შპს მონტესორი უნივერსი:**
ეკა ლუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ქეთევან ღვანიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
სოფიო გოხელაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თამარ ჭონიშვილი - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი;

**ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი (თერჯოლის N3 საბავშვო ბაგა-ბაღი):**
ვანდა ქობულაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ტატიანა ჯიქია- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია ქარქაშაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თეა ასანიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი (სოფელი ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღი):**
ვანდა ქობულაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ტატიანა ჯიქია- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია ქარქაშაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თეა ასანიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი (ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღი):**
ვანდა ქობულაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ტატიანა ჯიქია- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

ია ქარქაშაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
თეა ასანიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება (ქარელის N3 საბავშვო ბაღი):**
მადონა ქეშიკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნუცა გელაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ზესიკ მარგველაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
სოფიო გოხელაშვილი - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება (სოფელი ახალსოფელის საბავშვო ბაღი):**
მადონა ქეშიკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნუცა გელაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ზესიკ მარგველაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
სოფიო გოხელაშვილი - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება (სოფელ დირბის საბავშვო ბაღი):**
მადონა ქეშიკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნუცა გელაშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ზესიკ მარგველაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
სოფიო გოხელაშვილი - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება**
**(სოფელი დანდალოს ბაგა-ბაღი):**
ამირან ხიმშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო თურმანიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
შოთა მახარაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება**
**(დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღი):**
ამირან ხიმშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნინო თურმანიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მირანდა გორგილაძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
შოთა მახარაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი (ცაგერის მუნიციპალიტეტი, ქ. ცაგერის N1 საბავშვო ბაღი):**
სალომე ხარაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
სოფიო მოწონელიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია იაკობიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლანა კამლაძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

**ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი (ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელ წიფერჩის საბავშვო ბაღი):**
სალომე ხარაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;

სოფიო მოწონელიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია იაკობიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ლანა კამლაძე - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2025 წლის 01 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს მონტესორი უნივერსი -ავტორიზაციის საკითხის დამატებითი განხილვა;
2. ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი - თერჯოლის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი - სოფელი ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი - ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება - ქარელის №3 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება - სოფელი ახალსოფლის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება - სოფელ დირბის საბავშო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება - დანდალოს ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება - დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი - ქ.ცაგერის N1 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი -სოფელი წიფერჩის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:**
**შპს მონტესორი უნივერსის ავტორიზაციის საკითხის დამატებითი განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ეკატერინე ლეჟავამ დამსწრეთათვის განმარტა, რომ 2025 წლის 27 ნოემბერს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს IV სხდომაზე განხილული იყო შპს მონტესორი უნივერსის ავტორიზაციის საკითხი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა პრეზენტაცია, სადაც ასახული იყო 2025 წლის 5-6 აგვისტოს მიხედვით არსებული მდგომარეობა. კითხვა-პასუხის ეტაპზე გადასვლისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა საქმიანობის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს უფლებამოსილების ვადა ამოიწურა 2025 წლის 19 სექტემბერს. ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობა კი დამტკიცდა 2025 წლის 22 ოქტომბერს, ხოლო შპს მონტესორი უნივერსის ავტორიზაციის განაცხადის წარმოების ვადა ამოიწურა 2025 წლის 30 სექტემბერს, რის შემდგომაც დაიწყო საქმიანობის განხორციელება. ზემოაღნიშნული გარემოება საბჭოს მიერ იქნა გათვალისწინებული.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელში კვების პროცესით.
შპს მონტესორი უნივერსის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კვების უზრუნველყოფის ფორმას სატელიტური სამზარეულო წარმოადგენს. დაწესებულება კონტრაქტორი კომპანიისგან დღის განმავლობაში 2-ჯერ, დილის და შუადღის პერიოდში იღებს საკვებს შესაბამისი ეტიკეტირებით. მიღებული საკვები ნაწილდება სამზარეულოში, ხოლო სამზარეულოდან კი ჯგუფებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 13:20
**დასრულების დრო** - 13:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მონტესორი უნივერსის ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის: ქართულ ენაზე პროგრამების განხორციელების 150-ით, ხოლო ინგლისურ ენაზე 30-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, შპს მონტესორი უნივერსის 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს: ქართულ ენაზე პროგრამის განხორციელებისათვის 150-ით, ხოლო ინგლისურ ენაზე პროგრამის განხორციელებისათვის 30-ით.

საბჭომ I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 29 სექტემბრისა. ასევე, დამატებით, არაუგვიანეს 2025 წლის 25 დეკემბრისა, შპს მონტესორი უნივერსს განესაზღვრა რეკომენდაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ - ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან მიმართვა და მათ მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების აქტის წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:**
**ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის (თერჯოლის N3 საბავშვო ბაგა-ბაღი ) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვანდა ქობულაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის, თერჯოლის N3 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 ივნისსა და 1-ელ ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფისათვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 115 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ვანდა ქობულაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე და მესამე სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.
პრეზენტაციის შემდგომ, საბჭოს თავმჯდომარემ, არა მხოლოდ ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს, არამედ სხვა დაწესებულების სტატუსის მაძიებლებს და ექსპერტებს, შემდგომი გათვალისწინებისთვის, ტერმინ ,,ლოგოპედთან“ მიმართებით მიაწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ სტანდარტის შესაბამისად, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდის შემადგენლობაში შედიან: სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი. ლოგოპედია კი - არის კორექციული პედაგოგიკის დარგი და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები არ ითვალისწინებს ასეთ პოზიციას. გამომდინარე აქედან, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ აღნიშნულ პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადების დროს ტერმინთა გამოყენება უნდა მოხდეს სტანდარტის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ნინო ლაბარტყავამ, კითხვით მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს, კურიკულუმის შესაბამის საგანმანათლებლო რესურსთან დაკავშირებით დაწყებული იყო თუ არა ცვლილებების განხორციელება, ვინაიდან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მითითებული აქვს ოთხი თვე.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, მაია თორთლაძემ, განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება დაწყებულია, გაწერილია მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი, გამოყოფილია თანხა, მიმდინარე წლის დეკემბერში დაგეგმილია აღნიშნული რესურსების მობილიზება, აქედან გამომდინარე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ პერიოდში სრულად იქნება აღმოფხვრილი ექსპერტთა მიერ იდენტიფიცირებული შეუსაბამობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 13:51**
**დასრულების დრო -13:56**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის (თერჯოლის N3 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს (თერჯოლის N3 საბავშვო ბაგა-ბაღი), 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 115-ით.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის აგვისტოსი.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:**

**ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის (სოფელი ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვანდა ქობულაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის, სოფელი ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 და 03 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის გასახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში „მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფისთვის"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში". აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ვანდა ქობულაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მეოთხე სტანდარტი, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.
საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დამატებითი განმარტება თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია ორი შერეული ასაკობრივი ჯგუფით. ერთ ასაკობრივ ჯგუფში ირიცხება მომიჯნავე ასაკის ბავშვები. რადგანაც ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან ნებადართულია ჩამოყალიბდეს მრავალასაკობრივი ჯგუფი არაუმეტეს 15 ბავშვის შემადგენლობით, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა არ არის რელევანტური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 14:07**
**დასრულების დრო -14:11**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის (სოფელი ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს (სოფელი ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღი), 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის აგვისტოსი.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:**
**ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის (ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ

საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვანდა ქობულაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის, ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის გასახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში „მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფისთვის“; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ვანდა ქობულაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ნინო გიუაშვილმა, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს მიმართა რეკომენდაციით, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წყლის საკითხს და რეგლამენტის შესაბამისად იქნას დაცული როგორც სასმელი, ისე ტექნიკური წყლის ხარისხი. ამასთან, საჭიროებისამებრ, წყლის გაუვნებელყოფის საკითხთან მიმართებით ჩართული იყოს შესაბამისი კომპანია. გაერთიანების წარმომადგენელი დაეთანხმა და მიიღო რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 14:24**
**დასრულების დრო -14:30**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის (ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს (ძევრის საბავშვო ბაგა-ბაღი), 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის აგვისტოსი.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:**
**ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანების (ქარელის N3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანებისქარელის N3 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 და 18 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 50 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მადონა ქეშიკაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე და მესამე სტანდარტთან მიმარტებით შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ", ხოლო მეოთხე სტანდარტშთან შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა დაწესებულება უზრუნველყოფილი იყო თუ არა კომპიუტერითა და პრინტერით.

გაერთიანების დირექტორმა, ნინო მეზვრიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას გააჩნდა კომპიუტერი და პრინტერი. ხოლო გაერთიანებაში შემავალ ბაღებს ეტაპობრივად უზრუნველყოფენ ინტერნეტით.

საბჭოს წევრმა, ნინო გიუაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს, თუ რა გეგმა ჰქონდათ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ტერიტორიაზე არსებულ ელექტრო ბოძთან დაკავშირებით.

გაერთიანების დირექტორმა, ნინო მეზვრიშვილმა, განმარტა, რომ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებულია არსებული საკითხი და უახლოეს მომავალში მოხდება ბოძის გადატანა ან შემოღობვა.

საბჭოს წევრმა, ნინო გიუაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სანიტარული კვანძების პრივატულობასთან დაკავშირებით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ სანიტარული კვანძების ადაპტირება გაწერილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

